



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს პარლამენტის  
ახრახანი ბიბლიოთეკა

ეზრა

დასდებულნი  
წმიდისა ევთჳმი  
მოღუაწისანი

ეზრა

დასდებელნი წმიდისა ევთჳმი მოღუაწისანი

დასდებელნი წმიდისა ევთჳმი მოლუაწისანი თავნი იტყჳან: ”ეზრა, ქრისტე ადიდე საურმაგ და ძეჲ მისი მირიან, ამენ”.

ეჳა შუენიერსა დღესა, დღესასწაულსა შენსა, ნეტარო მამაო ევთჳმი, ვითარცა ღრუბელი აეროვანი, დღეს ქუხს ეკლესიასა შინა ღმრთის მგალობელთა ჳმითა შენთა მათ სულიერთა ღმრთისა სათნოვებათა, და ვითარცა სულნელთა საკუმეველთა სულნელებამან განგუასულნელნა დიდებულმან საკსენებელმან შენმან და შენ ჳსუფევე სულნელთა შინა სამოთხისათა!

ზეზი სამეუფოჲ ზეგარდმო ქსოილი, ზეშთა ბუნებისა ჩუენისა, ზეცისა უფლებათა მეუფემან შეგმოსა შენ, ღირსო მამაო ევთჳმი დიდებულო, და მრჩობლმან სიყუარულმან ქრისტჳსმან შეგითხზა შენ გვრგვნი სულნელთაგან დაუჳნობელთა ყუავილთა და გიხარის მართალთა თანა სასუფეველსა შინა, სადა თჳთ ჳნათობს ბუნებითი იგი ნათელი! რამეთუ ყოვლითურთ სრულიად მოიძულენ საწუთროდსა გემოვნებანი, ნეტარო და კეთილად მოლუაწეო, სულითა გამობრწყინვებულო, ქრისტჳს ნების მყოფელო, მადლითა შემკობილო ევთჳმი სანატრელო, ამისთჳს ჳემმარიტად აქავე პატივ-გცა ქრისტემან, რამეთუ ჳყოფდი სასწაულთა, და აწ მყოფ ხარ მათ თანა, რომელთა ჳნათობს ნათელი პირისა მისისაჲ! ალაგთა საღმრთოთა, ქრისტჳს მცნებათა გზასა, უბიწოდ ხვდოდე, ევთჳმი, რამეთუ ანგელოზებრ იქცეოდე, ამისთჳს გეჩუენა აერთა შინა დიდებაჲ ღმრთისაჲ ღრუბლით გამო ნათლისაჲთ ცეცხლებრ, ვითარცა ელვაჲ, და მოგცა მადლი ხილვაჲდ შინაგანთა მათ დაფარულთა ვნებათა სულთა ცოდვილთა არა ღირსთა, მიღებად უბიწოსა ჳორცსა და სისხლსა უკუდავისა ძისა ღმრთისასა! ქრისტესა სიჩჩოდთგან შენით მიგიძლუანეს მშობელთა შენთა მსხუერპლად სულნელად, ღირსო ევთჳმი, რამეთუ წინადთვე შობისა შენისა უწყებულ იყვნეს მადლთა მათ შენთა სულნელებასა! რამეთუ ჩუეულებაჲ აქუს ერსა მართლ-მადიდებელთასა და იხარებენ საკსენებელსა ყოველთა წმიდათასა და უმეტესად დღეს იშუებენ დღესასწაულსა შენსა ევთჳმი! იხარებდეს

მორწმუნეთა გულნი მართლ- მადიდებელთანი, ოდეს შენ იყავ, ღირსო ევთჳმი, ზეცით მონიჭებულ სიმტკიცე მართლმადიდებლობისაჲ და სიხარული ეკლესიათაჲ! სულიერსა ამას კრებასა ყოვლად საგალობელსა, სულისა მიერ წმიდისა მოწოდებულნი, წადიერებით შემოკრებულნი ერნი, ვგალობდეთ და ვიხარებდეთ ღირსად, საკსენებელსა ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა, მოღუაწისა ევთჳმისსა! ტაძარსა ქრისტჳსსა, სადგურსა სულისა წმიდისასა, წმიდათა ეკლესიათა სულნელებასა, წინამძღუარსა უდაბნოდსა-მოყუარეთასა, ცათა შინა ანგელოზთა თანამოდასესა, ღმრთისა საყუარელსა ნეტარსა ევთჳმის, ერთობით ჩუენ პატივ-ვსცემდეთ!

ელია ამჳედრდა საშინელთა ეტლთა ცეცხლისათა და ჯორცითა აღვიდა უჯორცოთა თანა, ხოლო ნაწილნი შენნი, ღირსო ევთჳმი, მოგუენიჭნეს წყლულებათა ჩუენთა საკურნებელად და შენ ცათა შინა სულითა მარადის ჰნათობ წინაშე ღმრთისა! აღუწოდა ღმერთმან მოსეს სინად მთისა თავსა ზედა და მუნ განათლდა პირი მისი ვითარცა მზჳ, ხოლო შენ ზედა, სანატრელო მამაო, თვთ მოვიდა სული იგი სახიერი, დაადგრა შენ თანა და განგანათლა შენ უნათლჳს ნათელსა. მზისასა! დამდაბლდეს, რომელნი მაღლად რაჲ იტყოდეს სიცრუვესა, ბოროტად შეცთომილნი ბილწნი მწვალებელნი, და აღმაღლდეს მართლ-მადიდებელნი, ოდეს-იგი აღიზარდე ნერგი, უდაბნოს სუეტი, და სიმტკიცჳ სარწმუნოვებისაჲ და დიდებაჲ ეკლესიათაჲ!

იხარებს ეკლესიაჲ და ჰმადლობს ღმერთსა შენთჳს, ევთჳმი, რამეთუ მონიჭე სიმტკიცე მართლ- მადიდებლობისაჲ! დამზადებელმან გიცნა საშოსავე დედისა შენისასა, შუენიერო ევთჳმი, და განგიკუთნა შობით შენითგან! ეძიებდი გონებითა და ჰრბიოდე სარბიელთა ცისათა, სული წმიდაჲ გიძლოდა და მისწუდებოდე მიუწდომელსა!

სამებისა ნათლითა ჰნათობდი, ღირსო, ყოველსა სოფელსა, ჰბრწყინევდი რაჲ სანთელი მაღალსა მას ზედა სასანთლესა! არაჲ ირწმუნებდეს უღმრთონი უგულისხმონი მჳსნელსა ორითა ბუნებითა, ხოლო ნეტარი

ევთვმე შეასწავებდა შეურწყმელად ღმრთეებისა და კაცებისა შეერთებასა! უფალმან, ძალითა ძლიერმან, მოგცა ევთვმი, ძალი სულთა ზედა ბოროტთა და განასხემდი მათგან, რომელთაცა სტანჯვიდეს, განთავისუფლდებოდეს და ადიდებდეს ძალსა ქრისტჳსსა! რაჟამს მოაკლდენ მნათობნი ნათელსა ამას მერმე აღსასრულსა ჟამთასა, ხოლო შენ, ღირსო ევთვმი, არაჲ მოაკლდე ნათელსა ბრწყინვალესა თუალთა შეუდგამსა სამებისასა!

მო-რად-ჰხუედი კევსა მას უვალსა საშინელსა, განიხარე გონებითა ხილვაჲ მისი, ევთვმი, სწორად სამოთხისა, ღირსო! აღაშენე ნეა-ლავრაჲ ნებითა ღმრთისაჲთა და მას შინა განამრავლენ მსგავსნი შენნი, მამაო, ნების-მყოფელნი ღმრთისანი! გპულდა ფრიად საწუთროდ ესე წარმავალი და გიყუარდა საუკუნოჲდ, სადა-იგი აწ მკვდრ ხარ და სუფევ უკუნისამდე! დაუტევე ნებაჲ კორცთაჲ და შეუდეგ ღმერთსა, ევთვმი, და მიემთხვე საღმრთოთა მათ კეთილთა, ჩუენგან მოუკლებელთა! აღივსნეს საყნოსელნი ჩუენნი სულნელებითა მადლთა შენთაჲთა, ევთვმი, და ეკლესიამან შეიწყნარა დღეს, ვითარცა ალოჲ სულნელი, შენთა სიწმიდეთა ქებაჲ! ძლიერი შური გაქუნდა შენ ვითარცა ელიას, პატოსანო მამაო, რამეთუ აღეგზენ ვითარცა ცეცხლი საღმრთოდ მწვალებელთა ზედა და შესწუნენ ენანი მათნი!

ეჰა შენ, კაცთა შორის ანგელოზო ევთვმი, რადმცა სიტყუად მოვიპოვეთ სიწმიდეთა შენთა შემსგავსებული, რომლითამცა ღირსად ვაქეთ დღეს საცსენებელი შენი! ძქების შუენიერად დღესასწაული შენი მოყუარეთა შენთა მიერ, მართალო ევთვმი, და ანგელოზნი მგალობელთა გალობასა შესწირვენ წინაშე ღმრთისა!

მიიღო მრჩობლი მისაგებელი გლახაკისა მისთვის, რაჟამს ფუცა ურწმუნომან კადნიერად საფლავსა ზედა ევთვმისსა და განიპატიჟა მწარითა მით სენითა საწყალობელი! ითხოვა შენგან სარწმუნოვებით კურნებაჲ, ევთვმი, და მწრაფლ მოიღო ლხინებაჲ ჭაპუკმან მან და განძლიერებულმან ჳმა-ყო: ”კურთხეულ ხარ, ღმერთო, ტაძარსა მას

სიწ[მიდისა მისისასა”]!

სულმან წმიდამან არწმუნა ურწმუნოთა მადლი შენი ნათლისმიცემად ბარბაროზთა, სანატრელო, და განათლებულნი იტყოდეს: კურთხეულ ხარ, ღმერთო, ტაძარსა მას სიწმიდისა მისისასა!

იხარებენ დღეს მნათობნი, ელვენ აერნი ბრწყინვალედ, ქუხან ჯმა-ტკბილად ღრუბელნი თავთა ზედა მაღალსა ეკლესიათასა ყოვლად საწადელსა ჯსენებასა შენსა დღეს, ღირსო ევთჳმი!

მიიხუენ მცნებანი ქრისტჳსნი და გამოიწერენ გონებასა შენსა და აღასრულენ ყოვლითა ძალითა შენითა, ნეტარო, და მსგავს შენდა ჰყვენ მარტოდ ცხოვრებულნი და ჯმა-ყვეს, “აკურთხევ[დით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა”]!

იქცეოდე შენ მჯეცთა თანა ველურთა უშიშად ძალითა ღმრთისადათა და უბოროტჳსთა მათ მჯეცთა ჰბრძოდე, მწვალებელთა, ევთჳმი, დაუყვენ პირნი და მართლ-მადიდებელთა ჯმა-ჰყვეს: ”აკუ[რთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა”]! რამეთუ გრწმენა სასოვებით უხილავი იგი ზეცისა დიდებად, რომელ განუმზადა ქრისტემან მოყუარეთა თჳსთა, ევთჳმი, და მას დაგამკვდრა სულმან წმიდამან და ჯმა-ჰყავ: ”აკუ[რთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა”]! ელვარე სულითა, ევთჳმი, ჰნათობდი ქუეყანასა ზედა, ხოლო ოდეს განხუედი ჯორცთაგან, განჰვლენ ცანი სათნოვებათა კიბითა და მიიწიე, წმიდაო, წინაშე ღმრთისა გზრგზნოსანი! აღჰყვანდა რაჲ ანგელოზთა სული შენი, მსხუერპლი ქრისტჳსი, ნათობდა ვითარცა მზჳ ბრწყინვალჳ და შიშით გზას[გ]ცემდეს აერთა მცველნი, სულთა მჰყრობელნი ბოროტნი და უჯორცოთა შეგიწყნარეს შენ! ნათელსა სამარადისოსა, რომლისა გსუროდა, აწ მკვდრ ხარ, მამაო, ნუ დამივიწყებ ჩუენ, ევედრებოდე ქრისტესა მჰსნელსა ჩუენსა, რაჲთა სრულიად განაქარვნეს მზაკუვარებანი მტერთა ჩუენტანი!

აღიწიე ზეცად ძლიერთა თანა ზეცისა ძალითა და მათ თანა მკვდრ ხარ, ნეტარო, ქრისტჳს მოყუარეო ევთჳმი, და ჰსუფევ სიკეთითა მათითა

უკუნისამდე!მამაო ევთჳმი, უბიწოვებით განჳვლე საწუთროდ ვითარცა ანგელოზმან ღმრთისამან და ვითარცა მსხუერპლი ცხოველი მიუძღუნა ქრისტემან ცათა მაღალთა სული შენი!

ელვარე-გყო ნების-მყოფელთა მისთა თანა, ნეტარო, ამბა პავლეს და დიდსა ანტონის, ღმერთ-შემოსილო ევთჳმი, და ჰნათობ სასუფეველსა მათ თანა უკუნისამდე!

ნუ დამივიწყებ ჩუენ, მადიდებელთა შენტა, მამაო, მოგჳსენენი წინაშე ღმრთისა და ითხოვე სულთა ჩუენტათჳს ცხოვრებად სამარადისოდ საუკუნოდ უკუნისამდე!